ახალი ხარაგაული

404 (12) 21 აგვისტო, 2019 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან თათბირი გამართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისგან არსებული ვითარებისა და პრობლემების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. საუბარი იყო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებზე. მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში ხელშეკრულებები გაფორმებულია და სამუშაოები მიმდინარეობს. შეხვედრაზე განიხილეს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე არსებული პრობლემები. მერის ინფორმაციით, მეწარმეები, რომლებიც ვალდებულებას ვერ ასრულებენ, სანქციების თანხლებით მუშაობენ, ან უწყდებათ ხელშეკრულებები. ნიკოლოზ თოფურიძემ წარმომადგენლებს ხალხთან მეტი კომუნიკაციისკენ მოუწოდა.

ღორეშაში ადგილობრივ ნიკოლოზ თოფურიძე ღორეშის ეროსანლეთისკენ შეეჭიდა

ღორეშაში, კვადოურას უბანში, 30 ოჯახზე მეტი ცხოვრობს. სოფელი ზაფხულის განმავლობაში თითქმის ივსება. წელიწადის ამ დროს ღორეშაში ათობით დაკეტილი სახლის კარი იღება. აქა-იქ ახალმოსახლეობის მსურველთა მიერ სახლების მშენებლობასაც შეამჩნევთ. ღორეშამდე მისასვლელი ცენტრალური გზა რეაბილიტირებულია. კვადოურას უბანში კი, ჯერ კიდევ უჭირთ ადგილობრივებს გადაადგილება. განსაკუთრებით ერთი მონაკვეთი იმდენად ამორტიზებულია, რომ წვიმის დროს ავტომობილით გავლა შეუძლებელია. ხარაგაულის მერი კვადოურას უბნის მოსახლეობას შეხვდა და გზის აღნიშნული მონაკვეთი მათთან ერთად დაათვალიერა. ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, 1 000 -მეტრიანი გზის პროექტი უკვე მომზადებულია და ექსპერტიზაც გავლილია. „თუ ხარაგაული, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის, წელს დამატებით თანხებს მიიღებს, კვადოურას მოსახლეობის მოთხოვნა წელსვე დაკმაყოფილდება“, - განმარტა მერმა შეხვედრაზე.

დეპუტატებმა მორიგი საბიუჯეტო ცვლილება დაამტკიცეს

14 აგვისტოს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. საკითხი მერიის სახაზინო -საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილების უფროსმა ნინო მაღლაკელიძემ წარადგინა. მოხსენებითი ბარათის თანახმად, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა დამატებით 300 000 ათასი ლარი მიიღო. საერთო ჯამში ამ მიმართულებით 570 000 ლარია გამოყოფილი. აღნიშნული თანხიდან 495 000 ლარი დაზიანებული გზის რეაბილიტაციისათვის მიიმართება, 75 000 ათასი ლარი კი- ხიდების აღსადგენად.

გარდა ამისა, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტს დამატებით 55 080 ლარი გამოეყო, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს დაბა ხარაგაულსა და მიმდებარე სოფლებში სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით მდინარის კალაპოტის გაწმენდა და სანიაღვრე არხებისა და სახიდე გადასასვლელების მოწყობა.

საბიუჯეტო ცვლილების თანახმად, ჯარიმის გადასახდელად 21 166 ლარით გაიზარდა ა(ა)იპ ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ სუბსიდია.

როგორც ცნობილია, ავტომაგისტრალის მშენებლობის გამო საავტომობილო გზის განვითარების ზოლში მოქცეულია ხევის საზოგადოებრივი ცენტრი და საბავშვო ბაღი. იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მოძიება, სადაც ახალი მშენებლობები მოხდება, საჭირო გახდა კერძო პირთან შეთანხმებით მიწის ნაკვეთის შესყიდვა, რომლისთვისაც, დაახლოებით, საჭირო იქნება 38 000 ათასი ლარი. მიწის შეძენა მოხდება მერიის ხარჯებიდან და შესაბამისად დაფინანსების წყარო იქნება ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები 38 000 ლარი.

სახაზინო-საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილების უფროსის განმარტებით, 2019 წლის 7 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დაუბრუნდა გზების რეაბილიტაციაზე წინა წელს გადარიცხული 146 376 ლარი, კერძოდ, ხიდრის შარიქაძეების უბნის გზის რეაბილიტაციის 69 041 ლარი, ვარძიის გზის რეაბილიტაციის 70 017 ლარი და შესაბამისი თანადაფინანსების თანხა 7319 ლარი; ასევე მოხდა ღორეშისა და სარგვეშის ხიდების რეაბილიტაციის თანხების- 15 000 ლარის - დაბრუნებაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდა მიმდინარე წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში და განისაზღვრა 16 733 000 ლარით (მ. შ. წინა წელს აუთვისებელი და მიმდინარე წელს დაბრუნებული სახსრები - 1 127000 ლარი). ხოლო გადასახადების ნაწილში 2019 წლის ბიუჯეტი 21 422 400 ლარით განისაზღვრა.

საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატებმა მუხლობრივად უყარეს კენჭი და დაამტკიცეს.

საკრებულოს ამავე სხდომაზე მოწვეულ იყვნენ მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი თემური თაბუკაშვილი და მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი აფრასიონ ლურსმანაშვილი. დეპუტატებს სამსახურის უფროსებთან რიგი შეკითხვები ჰქონდათ. თუმცა საკრებულოს სხდომაზე მოხდა დაპირისპირება. რამდენიმე დეპუტატმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მერიის წარმომადგენლებს, რის გამოც, სამსახურის უფროსებმა სხდომათა დარბაზი დატოვეს.

ლელა ბუბულაშვილი

სტიქიით დაზიანებული ლეღვნის ცენტრალური გზის მშენებლობა იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 7 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ლეღვნის ცენტრალური გზის მშენებლობა იწყება. ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მათე“ სამუშაოებს 138 900 ლარად შეასრულებს.

პირველ ეტაპზე მიმდინარეობს დაზიანებული და ჩამოშლილი მასალისგან გზის გასუფთავება. სახელშეკრულებო პირობებით კომპანიამ სამუშაოები 70 კალენდარულ დღეში უნდა დაასრულოს. პროექტის ფარგლებში მოხდება ნაპირსამაგრი გაბიონების მშენებლობა და გზის ჩაწყვეტილი მონაკვეთების აღდგენა.

ხარაგაულში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 410 000 ლარი დაიხარჯება

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე დაბის მე-3 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება საკლასო ოთახებს, იცვლება ჭერი და იატაკი, რემონტდება ასევე, სპორტული დარბაზი და დერეფანი. აღნიშნულ სამუშაოებს შპს „ლაკა-2014“ 100 000 ლარად შეასრულებს. დაბის მესამე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია სახელშეკრულებო პირობებით 10 სექტემბერს უნდა დასრულდეს.

გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები ნადაბურის საჯარო სკოლაში, სადაც სველი წერტილების მოსაწყობად 13 606 ლარი დაიხარჯება. ასევე სველი ნერტილები მოეწყობა ლეღვნის საჯარო სკოლაში, სამუშაობს შპს ,,ბორჯი“ 39 291 ლარად ასრულებს. სრული რეაბილიტაცია უტარდება თეთრაწყაროს დაწყებითი სკოლის კორპუსს, რომელშიც დროებით კიცხის საჯარო სკოლის მოსწავლეები ისწავლიან. აღსანიშნავია, რომ კიცხში საჯარო სკოლის ახალი შენობა აიგება. მუნიციპალური განვითარების ფონდმა ხელშეკრულება უკვე გააფორმა კომპანიასთან, რომელიც, პირველ რიგში, პროექტს მოამზადებს და შემდეგ სამშენებლო სამუშაოებს შეასრულებს. 150 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა Design-Build მეთოდით აშენდება და მასზე 2 420 643 ლარი დაიხარჯება. სახელშეკრულებო ვადებით პროექტი 5 თვეში უნდა მომზადდეს, ხოლო სამშენებლო სამუშაოები 12 თვეში დასრულდეს. 2020-2021 სასწავლო წელს კიცხის სკოლა ახალი შენობით შეხვდება.

სამუშაოები აქტიურ ფაზაშია საღანძილის საჯარო სკოლაში. რეაბილიტაცია უტარდება სასკოლო ოთახებსა და დერეფანს. ასევე ბორის საჯარო სკოლაში იგება ლამინირებული იატაკი. სასკოლო ოთახები, იატაკი და სველი წერტილები კეთდება ღორეშის საჯარო სკოლაშიც. რაც შეეხება მოლითის საჯარო სკოლას, აქ სახურავის შეცვლა მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ხარაგაულის საჯარო სკოლებს ინფრასტრუქტურის მოსაწყობად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 410 000 ლარი გამოეყო და თანხები იმ სკოლებზე გადანაწილდა, სადაც ინფრასტრუქტურის მხრივ ყველაზე სავალალო მდგომარეობა გახლდათ.

ეკა შავიძე

ხარაგაულის საკათედრო ტაძარში პირველი წირვა აღესრულა

12 ივლისი ხარაგაულის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა. მაცხოვრის შობისა და თორმეტი მოციქულის სახელობის ახლად აშენებულ საკათედრო ტაძარში პირველი წირვა-ლოცვა ჩატარდა.

საკათედრო ტაძრის მშენებლობა მუნიციპალიტეტში ათწლეულია, მიმდინარეობს. დღეის მდგომარეობით მოპირკეთებულია მხოლოდ პირველი სართული და სამუშაოები ჯერ ისევ გასაგრძელებელია. როდის ჩაეყარა საფუძველი ხარაგაულში ტაძრის მშენებლობას და ვისი შემოწირულობით შენდება ამის შესახებ ფონდის დირექტორი ბატონი ცეზარ ბუბულაშვილი გვესაუბრება:

,,ქრისტიანული სარწმუნოების ორ ათეულ საუკუნეზე მეტ დროში ხარაგაულში ტაძარი არ ყოფილა. ტაძრის ფუნქციის შესრულება გადაწყვიტა, წარმოშობით, ვარძიელმა რომანოზ დეკანოსიძემ თავის კუთვნილ სახლში ერთ სართულზე სამლოცველოს გახსნით, რომელსაც საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მილიციისა და სამხედრო კომისარიატის განსათავსებლად იყენებდნენ. მეოცე საუკუნის 80-ინი წლების მიწურულს ქვეყანაში აზვირთებულ ეროვნულ მოძრაობას ხარაგაულელი პატრიოტი ახალგაზრდები შეუერთდნენ და გია თავზარაშვილის, ეკა შველიძის, ირინე ჩხეიძის, თემურ ფცქიალაძის, ნოდარ სამხარაძის, დიმიტრი ბოგვერაძის მოთხოვნას რომანოზ დეკანოსიძის სახლიდან მილიცია და სამხედრო კომისარიატი გამოესახლებინათ და იქ სამლოცველო სახლი აღედგინათ, მაშინდელმა ადგილობრივმა საბჭოთა მთავრობამ მხარი დაუჭირა. შენობა გათავისუფლდა და სამლოცველო სახლის მოწყობა დაიწყეს. სახლის წინ 500 კვადრატული მეტრი მიწის ფართიც გამოიყო ახალი ტაძრის ასაშენებლად. დაიწყო აქტიური მოძრაობა, თანხების შეგროვება, ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც სოლიდური სუბსიდირება იქნა გადარიცხული. აქტიურობდნენ ცალკეული პიროვნებებიც. თითქოს დაიწყო ტაძრის მშენებლობა, გაკეთდა ბალავრის წერტილოვანი ორმოები, სამშენებლო მასალების შემოწირვებით სამშენებლო ქვისა და რკინის რაოდენობაც იყო. ფაქტობრივად, საქმის მესვეურებმა მაშინ ამ საქმეს თავი ვერ გაართვეს. ამოჩჩქნილი ორმოები ბაყაყების ბუდედ იქცა, შემოწირული თანხები აორთქლდა, რკინა ჯართში ჩააბარეს, სამშენებლო ქვებიც გაქრა. ამ ყველაფერს ხელს უწყობდა ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობა და ამ საქმის მესვეურთა დამოკიდებულება. მე ამ ფაქტების მომსწრე ვარ, რაიონის ხელმძღვანელ ბირთვში ვმუშაობდი და კარგად ვიცი, ვის რა უკეთებია და ვის რა წვლილი შეუტანია ამ საქმეში. ხარაგაულში ტაძრის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 2007 წლის გაზაფხულზე ტაძრის მშენებლობის ფონდისა და მისი დებულების შექმნით, რომლის განკარგულებასაც ხელს აწერს რაიონის მაშინდელი გამგებელი კიაზო გამრეკელაშვილი. შეიქმნა მშენებლობის ფონდი მაშინდელი პარლამენტარის ჯაბა მაღლაკელიძის თავმჯდომარეობითა და 11 ადამიანის წევრობით. იმავე წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში ფონდის აღმასრულებელ დირექტორად მიმიწვიეს. ადგილზე ფონდის დებულებისა და შემოწირული 161 ლარის გარდა სხვა არაფერი დამხვედრია, რომელიც მამა ფილიპემ გადმოგვცა. ყველაფერი დავიწყეთ თავიდან ახალი პროექტის მომზადებით, სამშენებლო ადგილის გაფართოებითა და მისი გეოლოგიური დაძიებით, ძველი შენობების აღებით და სამშენებლო მოედნის მოწყობით, ყველაზე მთავარი- ფინანსების მოძიებით. ადგილობრივი ბიუჯეტიდან რისი შესაძლებლობაც იყო, გვირიცხავდნენ. რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელი პირების თორნიკე ავალიშვილის, თემურ ჭიპაშვილის, გიგა გლუნჩაძის ძალისხმევით დამკვიდრდა აქცია -,,ჩემი შესაწირი ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობას!“ და დღესაც გრძელდება. შემოწირულობათა ყუთები დაიდგა ზესტაფონში, თბილისში, გურიაში, ზღვისპირა ქალაქებში, რომელმაც კარგად იმუშავა და აქედან შემონატანმა სულ 153 ათასი ლარი შეადგინა. ერთლარიან აქციაში თითქმის მთელი რაიონი - ყველა მოსამსახურე, მასწავლებელი, პენსიონერი, ახალგაზრდა ჩაერთო. ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 20 ათასი ლარი ჩაგვირიცხა. ასე შეიქმნა ტაძრის მშენებლობის დაწყების საფუძველი. პირველი ბარი 2008 წლის 16 ივლისს დაიკრა და მძიმე ტექნიკის გამოყენებით დავიწყეთ საბალავრე ღრმულიდან გრუნტის ამოღება. 7 მეტრზე სიღრმეში ჩავედით მასიურ კლდეში და სწორედ გრუნტების სიმტკიცემ და ზედაპირულმა რელიეფურმა მდგომარეობამ განაპირობა ორ სართულზე ტაძრის მშენებლობა, რომელსაც თავის დროზე სკეპტიკოსთა შეფასებები არ დაჰკლებია, მაგრამ, ღვთის წყალობით, სწორი მენეჯმენტით, ჩვეული პრინციპულობით და ჩვენი ეპარქიის მაშინდელი მმართველის მიტროპოლიტ ვახტანგის (ახვლედიანი) და რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით ყველაფერს გავუძელით და, რაც შესაძლებელი იქნა, სახეზეა და ახლა განსაჯონ. ტაძრის მშენებლობა ადვილი არაა, ასე რომ ყოფილიყო, უფრო ადრე იქნებოდა აშენებული. პირველი სამშენებლო ქვა 2009 წლის 24 აპრილს დაშენდა. ხარაგაულს უკვე ამშვენებს ძველი ჩუქურთმებით, ორნამენტებითა და წმინდანთა ბარელიეფებით დახუნძლული მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძარი, რომელზეც გასული წლის 21 ოქტომბერს ჯვარი აღიმართა და ამა წლის 12 ივლისს პეტრე-პავლობის სადღესასწაულო წირვა მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა, მისმა ყოვლადუსამღვდელოესმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) ხარაგაულელ მრევლთან პირველად აღავლინა და ამიერიდან ყველა საეკლესიო რიტუალი იქ ჩატარდება. ის რომ, ათი წელი გაგრძელდა ტაძრის მშენებლობა, ეს არცთუ საგანგაშო ფაქტია. დაფინანსების ადეკვატურია მშენებლობის მიმდინარეობა, მაგრამ ხარაგაულის სინამდვილეში უფრო მძიმე ვითარებასთან გვქონდა საქმე. თითქმის ორი წელი 2014 წლის აგვისტოდან 2016 წლის 20 აგვისტომდე არ მიგვიღია არცერთი ლარი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან, არადა, საკრებულოს გადაწყვეტილებით, ამ პერიოდში ტაძრის მშენებლობისთვის 200 ათას ლარზე მეტი იყო ჩადებული ბიუჯეტში. ამიტომ გადაიწია მშენებლობის დასრულებამ ორი წლით. ეს არის კონკრეტული მიზეზი მშენებლობის გაჭიანურებისა.

-ვისი შემოწირულობით შენდება ტაძარი და რამდენად აქტიურია მოსახლეობა?

-ტაძარი შენდება მრევლისა და ხელისუფლების შემოწირულობით. პირადი შემოწირულობებით აქტიურობენ: ყოფილი გამგებელი თორნიკე ავალიშვილი და ამჟამინდელი მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარეები: თემურ ჭიპაშვილი, გიგა გლუნჩაძე და ინგა მაღრაძე. დღემდე რაც აშენებული და გაკეთებულია, 900 ათას ლარზე მეტი არ არის გახარჯული. ეს მიღწეულია რაიონის მოსახლეობის მასიური მონაწილეობით სამშენებლო სამუშაოებში და განსაკუთრებით კეთილმოწყობის თანამშრომლების სისტემატიური და აქტიური მუშაობით, თანხების ეკონომიური ხარჯვით, სწორი მენეჯმენტითა და ზუსტი აღრიცხვით. ირაკლი ებანოიძის ამ მშენებლობისადმი კეთილი დამოკიდებულებით და ბევრი სხვა სწორი ოპერაციების ჩატარებით. 2009 წელში რაიონში 30 ათასი ლარის ტენდერის სამუშაოებს აწარმოებდა ღერი მეტრეველი და ტაძრის მშენებლობისადმი მიძღვნილ მარათონში 3 ათასი ლარი შემოიტანა. ამ ბოლო წლებში 30 მილიონზე მეტი სატენდერო სამუშაოები მიმდინარეობს და არათუ თანხა, არამედ მცირე სამშენებლო მასალა არ გაუმეტებიათ ტაძრისათვის.

-რა სამუშაოებია კიდევ განსახორციელებელი და როგორი იქნება მომავალში დასრულებული ტაძარი, ასევე, როგორ მოეწყობა ეზო?

-დღეის მდგომარეობით მოპირკეთებულია მხოლოდ პირველი სართული და სამუშაოები ჯერ ისევ გასაგრძელებელია. როგორია ტაძარი, მისი გარე სახე, მშენებლობის ხარისხი, ეს სპეციალისტების განსჯის საკითხია და საბოლოო შეფასებას დრო გააკეთებს. მჯერა, 21-ე საუკუნის ნიკორწმინდად დარჩება ხარაგაულის ტაძარი. კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი. მიუხედავად იმისა, რომ წირვა უკვე ტარდება, პირველი სართული არ არის დასრულებული. მასში ჰაერაციის პრობლემა უნდა მოწესრიგდეს, შესასვლელი მოეწყოს და შიდა მხარე მოსახატად გადაილესოს. ზედა ტაძარი მთლიანად მოსაწყობია. ხელოსნების ჯგუფი შერჩეულია და ფინანსური შესაძლებლობა როცა გვექნება, დავიწყებთ. დარჩენილია 5-6 თვის სამუშაოები, 261 -ათას ლარზე მეტი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა და ახლა თანხის მიღებაზე ვართ დამოკიდებული. ზედა ტაძრის სარკმელებისა და კანკელის პრობლემები მოხსნილია. ამას კარგი ადამიანები პირადი შემოწირულობებით გვიკეთებენ. უპირველესია ლესვის სამუშაოები და იატაკის დაგება. ანალოგიური იქნება ეზოს მოწესრიგების საკითხიც. ტაძარი გალავნით უნდა შემოიღობოს და სამრეკლოც უნდა აშენდეს. ძნელია, წერილობით წარმოაჩინო, როგორი სახე ექნება ბოლოს ტაძარს და მის შემოგარენს. მე მაქვს ამის წარმოდგენა და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ეს, არა მარტო რაიონში და ეპარქიაში, არამედ მთელ საქართველოში იქნება ერთ-ერთი ადგილი, ადამიანის სულის ამაღლებისა.

-შემოწირულობებით ძველი ქართული ორნამენტების ჩუქურთმებით შესრულებული კომპოზიციები ამშვენებს ტაძარს. გაგრძელდება თუ არა მომავალში სახელობითი ჩუქურთმების აქცია ?

-შემიძლია გითხრათ, რომ სახელობითი ჩუქურთმების აქციები გაგრძელდება. მაგრამ აქვე გეტყვით, რომ სხვა ბევრი რამე სჭირდება ტაძარს და შეიძლება ამ კუთხითაც შემოწირვა.

-როგორც ჩვენთვის ცნობილია, მშენებლობის პარალელურად მზადდება დოკუმენტური წიგნი. ძირითადად რა იქნება წიგნში აღბეჭდილი?

-ის რომ, მშენებლობის ყოველდღიურ ჩანაწერებს ვაკეთებთ და ყოველთვიურ შეჯამებას ვაქვეყნებთ გაზეთითა და ინტერნეტით, ეს არის მშენებლობის მატიანე. ასე იქმნება დოკუმენტური წიგნი, რომელშიც ზუსტი ფაქტები და თარიღები აღირიცხება. წიგნი იქნება სახელობითი ჩუქურთმების ილუსტრაციებითა და მშენებლობის ეპიზოდებით დატვირთული, რომ მომავალი თაობისათვის ზუსტი ინფორმაციები დავტოვოთ და იცოდნენ, ვის რა წვლილი მიუძღვის მის მშენებლობაში. ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ ზუსტი დოკუმენტური მასალა, რეალური ფაქტების ფალსიფიცირება რომ ვინმემ ვერ შეძლოს, რის მცდელობასაც ხარაგაულის სინამდვილეში აქვს ადგილი. ბევრის შთამომავლობა იამაყებს თავისი წინაპრების მონაწილეობით ამ ტაძრის მშენებლობაში. ასევე ვამზადებთ დოკუმენტურ ვიდეო მასალას, თუ როგორ შენდება წლების განმავლობაში ტაძარი. კიდევ ერთხელ მადლობა მინდა, გადავუხადო ყველას, ვინც შესაწირი გაიღო, ვინც ფიზიკურად იმუშავა, ერთი სანთელი დაუნთია და უხარია ამ ტაძრის აშენება, ღმერთი იყოს მათი მფარველი!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების ცენტრის გახსნა იგეგმება

აქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ცენტრი ხარაგაულში პროფესიული განათლების ცენტრის გახსნას გეგმავს. სასწავლებელში, გასაუბრების საფუძველზე, IX და XII კლასდამთავრებულები, ასევე X, XI, XII კლასების მოსწავლეები მიიღებიან. დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ, დაეუფლონ შემდეგ სპეციალობებს: კომპიუტერული ტექნოლოგიები; კომპიუტერული ინჟინერია; დაცვა-პატრულირება; გარემოს დაცვა; კრიმინალისტი; ბანკის ოპერატორი; ფარმაცევტის თანაშემწე; კბილის ტექნიკოსი; სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი; ხილ-ბოსტნეულის პირველადი გადამამუშავებელი; ვეტერინარი; ბაგა-ბაღის აღმზრდელი; კორესპონდენტი; გიდი, ტურიზმი.

აღსანიშნავია, რომ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი 2009 წლის თებერვალში დაფუძნდა და, მიუხედავად არც თუ დიდი ხნის ისტორიისა, მაინც შეძლო საკუთარი ხელწერის საგანმანათლებლო კერად ქცეულიყო, განსაკუთრებით არაფორმალური პროფესიული განათლების სფეროში. სწორედ აღნიშნული ფორმის სასწავლო ცენტრები, ინსტიტუტის ეგიდით, მაღალ დონეზე ფუნქციონირებენ თბილისში, ოზურგეთში, ჭიათურაში, ხაშურში, დუშეთში, ქობულეთში, ზუგდიდში, ამბროლაურში, საგარეჯოში, წალკაში, გურჯაანში, ლაგოდეხში, თელავში, ახმეტაში. .. საზღვარგარეთის ქვეყნებში: საბერძნეთში, იტალიაში, უკრაინაში.... და სხვა.

აღნიშნული ცენტრის დამფუძნებელი პროფესორი გარი ჩაფიძეა. ბატონმა გარიმ უნივერსიტეტი მოსკოვში დაამთავრა, სხვადასხვა დროს მსახურობდა სანქტ-პეტერბურგში, ჩელიაბინსკში, კიევში, შემდეგ კი-საქართველოში, საპასუხისმგებლო და ნომენკლატურულ თანამდებობებზე. ამჟამად არის ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, ამერიკის შეერთებული შტატების ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინის კადრების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ქ. ჩერნიგოვის (უკრაინა) საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის რექტორი. ,,ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიის შტატის ქ. ფილადელფიის საერთაშორისო პოლიტიკისა და მთავრობის ინსტიტუტი გარი ჩაფიძის სახელობისაა. ასევე არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს მოსწავლე- ახალგაზრდობის გაზეთ ,,ჩირაღდნის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ ,, სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა კავშირის თავმჯდომარე, უკრაინის საერთაშორისო რეგიონალური აკადემიის ქ. რუსთავის საკონსულტაციო ცენტრის დირექტორი, უკრაინის უმაღლესი განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ავტორია 100-მდე მხატვრულ-ლიტერატურული წიგნისა და 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც თარგმნილი და გამოცემულია მრავალ ენაზე.

როგორც ჩვენთან საუბარში ბ-ნ გარი აღნიშნავს, ის მზადაა, ხარაგაულში პროფესიული განათლების ცენტრმა დაიწყოს ფუნქციონირება და ხელი შეუწყოს მომავალი თაობის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ასევე მათ დასაქმებას.

,,ჩვენთან, სასწავლო ცენტრებში, სტუდენტთა სოლიდური ნაკადის მიღება მიმდინარეობს. სასწავლებელში მოქმედებს თანხების ეტაპობრივად გადახდა. ასევე 30-50-70 და 100-პროცენტიანი გრანტები; უფრო მეტიც, პირველი კურსის წარჩინებით დახურვის შემთხვევაში, სტუდენტი არა მარტო გათავისუფლდება გასახადისაგან, არამედ სასწავლო სტიპენდიასაც მიიღებს. საყურადღებოა, რომ თანხის გადახდაში შეღავათებით სარგებლობენ ლტოლვილები, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი ოჯახის წევრები და მრავალშვილიანები.“ -განაცხადა გარი ჩაფიძემ.

შეგახსენებთ, რომ სწავლება სამწლიანია. სასწავლო გადასახადი წელიწადში 700 ლარია. კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან, ოქროსბეჭდიან დიპლომს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
595 51 98 12;
მისამართი: ხარაგაული, 9 აპრილის N15.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

იზა-ქალი, პოეზია!..

სათქმელი, რომელიც იზა ვეფხვაძეზე მინდა, მოგახსენოთ, დიდი ხანია, დაგროვდა ჩემს ცნობიერებაში. საქმე იმაშია, რომ იზაზე საუბარი ადვილიცაა და ძნელიც... ადვილია მისი პიროვნებიდან, მრავალმხრივი ნიჭიდან გამომდინარე, ძნელია, რადგან ზოგჯერ საკუთარი შთაბეჭდილების გადმოსაცემად სიტყვაც უძლურია...

იზა ბოლომდე რომ შეიცნო, უეჭველად სცენაზე უნდა ნახო, დატკბე მისი უბადლო ნიჭით, მჭევრმეტყველებით, უნიკალური მეხსიერებით. საკუთარი თვალით უნდა ნახო, ისედაც მშვენიერი, სცენაზე როგორ ბრწყინავს, როგორ ანთია, იწვის. კდემამოსილი, გრაციოზული, ირგვლივ ენითუთქმელ სისპეტაკეს ამკვიდრებს, უდიდეს პოეზიას გაზიარებს, ულამაზეს სამყაროში გიმეგზურებს, იქ, სადაც არ არის შური და მტრობა, ღალატი, სიცრუე, ორპირობა, სადაც ინტელექტი და წიგნიერება ზეობს. სული მაღლდება და ფაქიზდება, ამ სამყაროში მხოლოდ სიყვარულია! ყოველ სპექტაკლს ლეიტმოტივად რომ დაჰყვება. ,,მე თქვენ მიყვარხართ!" - ამ სიტყვებით იზა ინტერნეტსივრცეში ყოველ დილით გვესალმება და გვეფერება ...

იზას შემოქმედების, მისი სპექტაკლების შესაფასებლად, ცოტაა სიტყვა-მოწონება, ეს უფრო აღტაცებაა...

გამოგიტყდებით და ხშირად მიფიქრია მის სცენურ პროფესიონალიზმზე. იზას ხომ თეატრალური ინსტიტუტი არ დაუმთავრებია. პროფესიით ფილოლოგი და ჟურნალისტია. სად მიღებული განათლება და სად მსახიობობა, ეს უკანასკნელი ხომ სულ სხვა კრიტერიუმებს საჭიროებს?

მოდით, მოვუსმინოთ იზას ნიჭისა და სამსახიობო ხელოვნების შემფასებლებს:

გიგა ლორთქიფანიძე- ,,ერთი ადამიანის ნიჭს და შესაძლებლობებს ნამდვილად აღემატება ის, რაც მე ხარაგაულის ლიტერატურულ თეატრში ვიხილე".

ედიშერ მაღალაშვილი - ,,ბედნიერი ვარ, როცა ასეთ ნიჭიერებას და ქართულ საქმეს ვუყურებ."

ოთარ მეღვინეთუხუცესი - ,,მსახიობს მეხსიერება როგორ უნდა გაგიკვირდეს, მაგრამ მართლა გამაოცა უშანგი ჩხეიძისადმი მიძღვნილ სპექტაკლზე იზა ვეფხვაძის მეხსიერებამ, არტისტიზმმა და სიყვარულმა საქმისადმი."

კიტა ბუაჩიძე- ,,მე სიტყვები არ მყოფნის ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის საქმიანობის შესამკობად. ბარაქალა, ამ ქართულ საქმეს!"

თეატრს აღტაცებული სიტყვები უძღვნეს: ოტია იოსელიანმა, შოთა ნიშნიანიძემ, გურამ დოჩანაშვილმა, ევგენი ხარაძემ, ოთარ მამფორიამ, დევი აბაშიძემ, ნინო ჩხეიძემ, გეიდარ ფა-



ლავანდიშვილმა და სხვებმა.

ჩემი კითხვა პასუხგაცემულია, თანაც ძალიან მაღალ დონეზე, თეატრის, კინოს, მეცნიერების, მწერლობის კორიფეების დონეზე...

იზას შემთხვევაში საქმე გვაქვს თვითნაბად ტალანტთან, ეს კი ისეთი ფენომენია, უფლის ხელი რომ ურევია...

იზას უამრავი ლექსი უძღვნეს მხატვრული სიტყვის ოსტატებმა. მე გამოვარჩევდი დეკანოზ თავმას ჩოხელის ლექსს ,,ქალო,ხარაგაულელო!,,რადგან ამ ლექსის ხაზგასმული ღირსებაა, თაყვანისცემა ხარაგაულელი ქალის მიმართ, ისეთის, როგორიც იზაა. ლექსს შესანიშნავი მუსიკა მიუსადაგა მამა მათემ (ბუაჩიძე). სიმღერას ცნობილი მომღერლები ასრულებენ, რომელთა შესრულებამაც ძალზე პოპულარული გახადა სიმღერა ინტერნეტსივრცეში. მაგრამ, ალბათ, ყველამ არ იცის, რომ ლექსის ადრესატი იზა ვეფხვაძეა. იგი ჩემთვის ინტელექტუალური ხარაგაულის სახეა და არა მხოლოდ ხარაგაულის...

იზამ დაამტკიცა, რომ შეიძლება რაიონში ცხოვრობდე, მოღვაწეობდე და სრულიად საქართველოც გიცნობდეს, უყვარდე...

იზასთვის ხარაგაული სამყაროს ცენტრია. აქ მან სულიერების ოაზისი შექმნა. ხარაგაულია მისი ადგილის დედა და შთაგონების წყარო. ბევრჯერ შესთავაზეს დედაქალაქში გადასვლა, მაგრამ ვერ შეელია მშობლიურ რაიონს...მისი სიყვარული ხარაგაულის მიმართ შესანიშნავად შეაფასა აწ განსვენებულმა პოეტმა ზურაბ კუხიანიძემ: ,,გადარეულია იზაო ხარაგაულიზაო." სწორედ ამ ,,გადარევამ" შეაძლებინა შეუძლებელი. რაიონში, სადაც კი იმუშავა, ყოველთვის წარმატებული იყო.

ხარაგაულში დაიწერა მისი ენციკლოპედიური წიგნი ,,ხარაგაული" (4 ტომი), ,,გალაკტიონის ნატერფალები", ,,მარადისობის მგზავრი," ,,მოგონებების კრიალოსანი", ,,მონატრებული წარსული", ,,სულიკო ციმაკურიძე და ანსამბლი ,,ოდილა", ,, ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს," ,,ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო."

უკიდეგანოა იზას ფანტაზია, დაუვიწყარია ხარაგაულელებისთვის მის მიერ განხორციელებული პროექტები: ,,პაემანი რკინიგზის სადგურზე", ,,ჩაის დღე", ,,ვარდების დღესასწაული", ,,აუქციონი".

ყოველწლიური გახდა მისი ლიტერატურული კონკურსი ,,ოდეონი". მანვე დააფუძნა მხატვართა პლენერი.

ეს მცირე ჩამონათვალია იზას მიერ გაწეული საქმიანობისა. ბევრი გულშემატკივარი და თაყვანისმცემელი შეიძინა, მაგრამ, როგორც დიდი პოეტი ამბობს, ,, ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი" და მასაც ბევრი დაუმსახურებელი ტკივილი მიაყენეს სიმართლის სიყვარულისა და პრინციპულობის გამო. მახსოვს, იზას მაშინ რაიონმა და საქართველოს დიდმა ნაწილმა დაუჭირა მხარი, მათ შორის მეც ვიყავი, თქვენი მონა-მორჩილი. სამწუხარო ის იყო, რომ სიმართლის დასასაბუთებლად, სხვადასხვა ინსტაციამ საკმაო დრო წარსტაცა მის შემოქმედებას.

მრავალ დარგში გამოვლინდა იზას კაშკაშა ნიჭი ჟურნალისტიკაში, პოეზიაში, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ყველაზე დიდი წარმატების მომტანი მისთვის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრია, რომლის დამფუძნებელი, სცენარისტი, რეჟისორი და მსახიობია.

დიდია თეატრის დანიშნულება, იგი პოპულარიზაციას უწევს მსოფლიო კულტურას, მწერლობას, ხელოვნებას, ხალხთა შორის სიყვარულისა და მეგობრობის განმტკიცებას.

იზამ თავის სპექტაკლებში გააცოცხლა და უკვდავყო ქართველ მწერალთა სახეები: პაოლო და ტიციან ტაბიძეების, რეზო თაბუკაშვილის, ოტია იოსელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და მრავალთა სხვათა...

გრძნობდა რა, თეატრის დიდ დამსახურებას ქართული მწერლობის პოპულარიზაციის საქმეში, ოტია იოსელიანი წერდა: ,,ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი მეგობარი და უერთგულესი შუამავალია მკითხველსა და მწერალს შორის." სამოცზე მეტი სპექტაკლი, 1000-ზე მეტი ჩვენება, აი, როგორ ინერება ლიტერატურული თეატრის ლამაზი ისტორია...

იზას ბობოქარი, სიცოცხლით სავსე ბუნების წყალობით, თეატრი მუდმივ მოგზაურობაშია. მისი აღმაფრენა სალონში ვერ იკეტება...იზამ თავისი სპექტაკლებით საქართველოს მთიანი რეგიონები შემოიარა, იმედი და სიყვარული მიიტანა იქ.

ცალკე მინდა აღვნიშნო მონო-სპექტაკლი ,,ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს", რომელიც ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას ასახავს. აღნიშნული სპექტაკლით იზა ორი ერის მეგობრობის დიდ სიღრმეებს სწვდება, გვიზიარებს ებრაელი ერის ტკივილსა და სიხარულს. იხსენებს ებრაელი ხალხის კოლორიტებს, რიგით, უბრალო ადამიანებს. სპექტაკლით იგი ისრაელს ესტუმრა და მოძმე ხალხის სიყვარულითა და ემოციებით დამუხტული დაბრუნდა საქართველოში.

მოწმე ვარ, როგორ ელოდება თბილისში მაყურებელი იზას სპექტაკლებს, დარბაზში ტევა არ არის, ბოლო არ უჩანს ოვაციას...

იზა, არა მხოლოდ პოეტთა, მხატვართა მუზაცაა. გხიბლავს ცნობილი მხატვრის ილია პატაშურის ,,აღმაფრენა". ნახატს ზეციური, ღვთიური ელფერი დაჰკრავს. ნახატიდან - იზას ხატება ცისკენ მიინევს, იქ, სადაც დიდი სინმინდეა, საიდანაც მას შემოქმედი ახალ-ახალი შთაგონებით აღავსებს. იგი მუზათა სამეფოში მიფრინავს, ამ წუთებში სულმთლად ზეციასაა, როგორც პოეტი ამბობს ,,მიწის აღარაფერი ესმის." შთაგონებით დატვირთული, მერე ისევ მიწაზე ეშვება, რათა ჩვენ, მისი მსმენელი და თაყვანისმცემელი, ციურ სიმაღლეს გვაზიაროს.

მაინც მგონია, რომ იზას აღმაფრენის, მისი შთაგონების წყარო მისი დედობაა, მისი მშვენიერი, ნიჭიერი მარიამი და მისი დიდი სიყვარული პატარა ანაა. ბებიობა ღირსეულად შეიფერა მშვენიერმა, ახალგაზრდა ქალბატონმა...

ერთი სასიხარულო ინფორმაციაც შევიტყეთ: ტელეკომპანია ,,ქართული ტვ-ს" გადაწყვეტილებით, კვირაში სამჯერ გადაიცემა ლიტერატურული თეატრის სპექტაკლები. მივესალმებით ამ დიდებულ გადაწყვეტილებას, რამეთუ ასეთი დიდი სულიერების პროპაგანდა წაადგება ერსა და ქვეყანას,ჩვენს ახალგაზრდობას.

რთულია ასეთი პოპულარობის ზიდვა ისეთი უნაზესი ქალისთვის,როგორიც იზაა, მაგრამ იგი ძლიერიცაა, ღირსეულად ატარებს პოპულარობის საპასუხისმგებლო ტვირთს. ახერხებს,რომ ყველა თაყვანისმცემელს მოეფეროს, მადლიერება გამოხატოს პატივისცემისა და თანადგომისთვის.

ბევრი ლამაზი ეპითეტი მიუსადაგა იზას სახელს მადლიერმა მაყურებელმა. მე ჩემსას დავამატებდი: იზა-ქალი, პოეზია!..

ლინა ბარათაშვილი

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ბიუროს სხდომაზე საკრებულოს კომისიების ანგარიშები მოისმინეს

19 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული ხუთი საკითხი განიხილეს. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებმა 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის აგვისტოს ბოლომდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშები წარმოადგინეს. კომისიის თავმჯდომარეებმა ვრცლად ისაუბრეს ამ ხნის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებზე, მოქალაქეებთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით გამოვლენილ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე.

სხდომაზე ასევე განიხილეს ,,ფიზიკური და კერძო იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ.

გარდა ამისა, ბიუროს წევრებმა იმსჯელეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V დევდარიანის სახელის მინიჭების შესახებ.

აღნიშნული საკითხების შესახებ დეპუტატები უფრო ვრცლად 2 სექტემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ.

ბრუისის უბანს, შესაძლოა, სოფლის სტატუსი მიენიჭოს

ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის ბრუისის უბნის მოსახლეობა ბრუისის ცალკე სოფლად გამოყოფას ითხოვს. ადგილობრივების თხოვნით, სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს უკვე მიმართა. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის თემში გაერთიანებულია სულ ოთხი სოფელი: ბაზალეთი, ქროლი, წიფი და ღარიხევი. მათგან აღსანიშნავია, რომ სოფელი ღარიხევი წარმოადგენს პრობლემურ დასახლებას, ვინაიდან მისი ერთ-ერთი უბანი სახელწოდებით „ბრუისი" მდებარეობს სოფელ ბაზალეთსა და ჯვაფაროულს შორის, რის გამოც სოფელში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით ხშირ შემთხვევებში ვერ სარგებლობს ბრუისის უბნის მოსახლეობა, რაც იწვევს მათს პროტესტსა და სამართლან გულისწყრომას. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა ითხოვს ბრუისის უბნის ცალკე სოფლად გამოყოფას. აქვე აღნიშნულია, რომ უბნის სახელწოდება „ბრუისი" ძველი ისტორიული წარსულიდან მომდინარეობს. როგორც გაირკვა, ის ცალკე სოფლის სახელით მოიხსენიებოდა საქართველოში მიწის რეფორმის პერიოდშიც, რაც დასტურდება მოსახლეობაზე გაცემული ოფიციალური დოკუმენტებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტების რეესტრში არსებულ დასახლებათა ჩამონათვალში არც წარსულში და არც ამჟამად „ბრუისი" არ ფიქსირდება როგორც ცალკე სოფელი. თემის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი აღნიშნავს, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სოფელში სოციალურ - ეკონომიკური განვითარების გეგმისა და პროგრამის ეფექტურ განხორციელებას, რაც, საბოლოოდ, აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

მიენიჭება თუ არა ბრუისის უბანს ცალკე სოფლის სტატუსი, ამის შესახებ ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება. აღნიშნულ საკითხზე მუნიციპალიტეტის მერია, კანონის შესაბამისად, სათანადო ღონისძიებებს ატარებს, რომლის ფარგლებშიც 21 აგვისტოს 12 საათზე სოფელ ღარიხევში გამართავს მოსახლეობასთან შეხვედრას. შეხვედრა სასოფლო კლუბის ეზოში ჩატარდება, სადაც ადგილობრივები დააფიქსირებენ საკუთარ პოზიციას ბრუისის უბნის ღარიხევიდან გამოყოფისა და მისთვის სოფლის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა დაიწყო

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2019 წლის საშემოდგომო გაწვევა 15 აგვისტოდან დაიწყო და მიმდინარე წლის 28 დეკემბრამდე გაგრძელდება. წვევამდელების ასაკი 18-დან და 27 -წლამდეა განსაზღვრული. შესაბამისი უწყებიდან ცნობა ყველა წვევამდელს გადაეგზავნა და ისინი ვალდებული არიან, უწყისის მისვლის შემდეგ 7-დან 14 დღის ვადაში გამოცხადნენ დაწესებულებაში. თუ პირი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოახერხებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას, კანონის მიხედვით, უფლება აქვს, გადავადებით ისარგებლოს.

სარგვეშის თემში სოფლის პროექტებით სამუშაოები დაიწყო

სოფელ სარგვეშში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა მიმდინარეობს. აღნიშნული სამუშაოებისთვის 12 ათასი ლარია გამოყოფილი.

სოფლის პროექტების ფარგლებში, ხელშეკრულება გაფორმებულია და სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება სოფელ საბეში. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ხორითში, სადაც საუბნო გზების კეთილმოწყობის მიზნით მეწარმესთან ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია.

ზემოთ აღნიშნულ სოფლებში საუბნო გზების შეკეთების მიზნით 10-10 ათასი ლარი დაიხარჯება. რაც შეეხება სოფელ მიროწმინდას, სადაც გამოყოფილი 10 000 ლარით ასევე, საუბნო გზების შეკეთებას გეგმავენ, ხელშეკრულება მეწარმესთან რამდენიმე დღეში გაფორმდება და სამუშაოები დაიწყება.

სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის პროექტებისათვის 42 ათასი ლარი დაიხარჯება.

საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის ფულადი ჯილდოს გაცემის წესი დამტკიცდა

განათლების რეფორმის ფარგლებში, საპენსიო ასაკს მიღწეული მასწავლებლები, რომლებმაც ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე პროფესიიდან გასვლა გადაწყვიტეს, 2019 წელს სახელმწიფოსგან ერთჯერად ფულად ჯილდოს - ორი წლის ჯამურ ხელფასს - მიიღებენ.

ჯილდოს მიღების მოთხოვნით განაცხადის დაწერის უფლება აქვს საჯარო სკოლის იმ პრაქტიკოს მასწავლებელს, რომელიც საპენსიო ასაკს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მიაღწევს.

პრაქტიკოსმა მასწავლებელმა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და ფულადი ჯილდოს მიღების თაობაზე განცხადებით საჯარო სკოლის დირექტორს უნდა მიმართოს.

იმ შემთხვევაში, თუ იგი ერთზე მეტ საჯარო სკოლაში ასწავლის, ფულადი ჯილდოს აღების მიზნით ვალდებულია შრომითი ურთიერთობა შეწყვიტოს ყველა საჯარო სკოლასთან. ამ შემთხვევაში ფულადი ჯილდო გამოითვლება თითოეულ საჯარო სკოლასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

ჯილდოს ოდენობა შეადგენს ბოლო 3 თვის განმავლობაში, ყოველთვიური შრომის ანაზღაურების (საშემოსავლო გადასახდელის გარეშე) საშუალო არითმეტიკულის 24-ჯერ ნამრავლს.

თუ საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებელი ფულადი ჯილდოს მიღების შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 2 წლის განმავლობაში კვლავ გადაწყვეტს საჯარო სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებას, ვალდებულია, დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები („ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 213 მუხლით მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილი მოთხოვნები) და დაბრუნოს ფულადი ჯილდო სრული ოდენობით.

ფულადი ჯილდოს გაცემა 2019 წლის განმავლობაში განხორციელდება.

საკრებულომ ადმინისტრაციული სამსახურის მუშაობა დადებითად შეაფასა

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში განიხილეს. საკითხის შესახებ ამავე სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა ისაუბრა. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ყველა იმ განყოფილების მუშაობაზე, რომლებიც ადმინისტრაციულ სამსახურს ექვემდებარებიან.

საკითხის განხილვის შემდეგ დეპუტატებმა თავიანთი შეხედულებები დააფიქსირეს. იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ოთარ ლურსმანაშვილმა კომისიის დასკვნა წარადგინა, რომლის თანახმადაც ყურადღება აუდიტის დასკვნაზე იქნა გამახვილებული. ლურსმანაშვილის თქმით, ადმინისტრაციულ სამსახურს შენიშვნების ნაწილი აქვს გამოსწორებული, რიგი ხარვეზები კი ისევ აღმოსაფხვრელია. დეპუტატმა აქვე აღნიშნა, რომ მერიასთან კორესპონდენციის პრობლემაა. თუმცაღა იურიდიული კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები ხედავენ ადმინისტრაციული სამსახურის მუშაობას და ანგარიშს დადებითი შეფასება მისცეს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი აცხადებს, რომ სამსახურის ანგარიში მშრალია და ძირითადად არის წარმოდგენილი ტექნიკური საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორთა შენიშვნების ნაწილი გაუთვალისწინებელია, ჭიპაშვილმა ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასა.

საბოლოოდ, სხდომაზე მყოფი დეპუტატების უმრავლესობამ ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასა.

თამარ მაღარძე

დეპუტატებმა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში მოისმინეს

საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში განიხილეს. საკითხი ამავე სამსახურის მესამე რანგის უმცროსმა სპეციალისტმა როინ გელაშვილმა წარადგინა. მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა მათ მიერ ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებებზე. მომხსენებლის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდი მოიცავს ექვსი თვის მუშაობას. ამ დროის განმავლობაში კი აუდიტორული შემოწმება ჩატარდა, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ასევე სტრუქტურულ ერთეულებშიც. სამსახურის ანგარიშში საუბარია იმ შენიშვნა-რეკომენდაციებზე, რომლებიც შემოწმების შედეგად გაიცა. გელაშვილი ამბობს, რომ თითოეულ ორგანიზაციას ხარვეზების გამოსასწორებლად ჰქონდა გარკვეული ვადა, თუმცაღა ყველა დარღვევისა და ხარვეზის აღმოფხვრა სრულად ვერ მოხერხდა.

დეპუტატებმა მოხსენებითი ბარათის გაცნობის შემდეგ საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს. საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი ამბობს, რომ აუდიტის სამსახურმა გეგმის მიხედვით შეამოწმა სხვადასხვა ორგანიზაცია და, თავიანთი კომპეტენციიდან გამომდინარე, შესაბამისი დასკვნებიც დადო. მისივე თქმით, ის ხარვეზები, რაც აუდიტმა აღმოაჩინა, აუცილებლად უნდა იყოს აღმოფხვრილი. ჭიპაშვილმა სამსახურის ანგარიში კომისიის სახელით დადებითად შეაფასა.

ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილი დაინტერესდა აუდიტის მიერ ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის“ შემოწმების შედეგად დადებული დასკვნის გაცნობა მოხდა თუ არა მერისათვის? ავალიშვილმა ყურადღება დასუფთავების სამსახურზე გაამახვილა, რაზეც შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელმა როინ გელაშვილმა უპასუხა, რომ ყველა აუდიტორული დასკვნა მერს წერილობით ეცნობება.

საბოლოოდ, დეპუტატებმა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასეს.

თამარ მაღრაძე

ტირის ჩემპიონატი ხარაგაულში

ხარაგაულში წელს პირველად, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ტირის ჩემპიონატი ჩატარდა. მონაწილეები ერთმანეთს მიზანში სროლაში ეჯიბრებოდნენ. ჩემპიონატი ჯერ მაღალი კლასის მოსწავლეებს შორის გაიმართა, შემდეგ კი აქტივობებში სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები და მოხალისეები ჩაერთნენ.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, მიზანში სროლის ჩემპიონატი ხარაგაულში განმეორებით ჩატარდა. ამჯერად ტურნირში მამაკაცებთან ერთად ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ქალთა შორის პირველი ადგილი თეა ცანავამ დაიკავა, მამაკაცებს შორის კი -დავით კვირიკაშვილმა.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ლეღვანში კარვების ბანაკი მოეწყო

კარვების ბანაკის ფუნქციონირებას ხარაგაულში ათწლეულების ისტორია აქვს. სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის ორგანიზებით, სოფელ ლეღვანში ბანაკი წელს ორ ეტაპად განხორციელდა, რომელშიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 100-მდე ახალგაზრდა იყო ჩართული.

მიმდინარე წელს კარვების ბანაკი მონაწილეებისთვის იმ განწყობით დაიხურა, რომ ის შემდეგ წლებშიც აუცილებლად გაგრძელდება, ყოველი შემთხვევისთვის, შთაბეჭდილებები იმდენად კარგია, რომ ახალგაზრდებს ამის დიდი სურვილი აქვთ.

4-4 დღე სამჯერადი კვებით, სპორტული აქტივობებით და ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშებით, სოფელ ლეღვნის არაჩვეულებრივ ბუნებაში მოზარდებმა შინაარსიანად გაატარეს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დირექტორ გრიგოლ ჭიპაშვილთან ერთად, ბანაკის ბოლო დღეს ახალგაზრდებს შეხვდა, მათი შთაბეჭდილებები მოისმინა და აღნიშნა, რომ მერია ყოველთვის იქნება ასეთი პროექტების მხარდამჭერი.

შენ კაცი იყავ!..

20 აგვისტოს მარადიულ გზაზე გაგაცილა ღირსეული შვილი შენი საფიცარი ხარაგაულის საზოგადოებამ. არსთა-გამრიგემ წლები არ დაიშურა შენთვის ყველა იმ ღირსების გამოსავლინებლად, რომლითაც იზომება პიროვნების ამქვეყნიური ყოფა.

წარმოვთქვამთ უმშვენიერეს გვარ-სახელს -- გიორგი (ჟორა) ბლუაშვილი -და თვალწინ წარმოგვიდგება ფიზიკური და სულიერი მშვენებით გამორჩეული ვაჟკაცი, რომლის მგზნებარე სიცოცხლეც მისაბაძ მაგალითად დარჩება შთამომავლობისათვის.

,,კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის!“- ბრძანებდა დიდი რუსთველი. ბატონო ჟორა, თქვენს პიროვნებასთან ეს მანძილი არ არსებობს, რადგან, როგორც გენიალური შექსპირი იტყოდა:

,,შენ კაცი იყავ,
ვით შეჰფერის კაცსა
კაცობა!“

თქვენ ადამიანურობის ძვირადღირებული ქულებით მარადიული, ხელთუქმნელი კაპიტალი დააგროვეთ - ქართველისათვის ესოდენ სანეტარო, საოცნებო, ღვთიური მადლით გასხივოსნებული.

უფალი გწინამძღვრობდა, როცა თბილისის რკინიგზის ინსტიტუტის სტუდენტმა, ე.წ. ,,სამხედრო ჯავშნის“ მიუხედავად, დროებით უარი თქვი სტუდენტის მშვიდობიან ცხოვრებაზე და იქ მიაშურე, სადაც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედი წყდებოდა.

უფლის მადლი გიცავდათ, როცა თქვენი ათეულის ჯარისკაცმა ივანე კრასნიკოვმა თქვენკენ მომართული გერმანელის მახვილი აგაშორათ, რითაც ომის დასასრულს საშუალება მოგეცათ, რომ თვითმკვლელობისათვის (თუ ტყვედ ჩავარდებოდით!) გადანახული ტყვია გერმანიის ქალაქ შვერენში, ჩვენი გამარჯვებით ბედნიერს, ჰაერში მშვიდობიანი მისიით გაგესროლათ...

თქვენმა საამაყო თანამემამულემ, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, თქვენი ზნემაღალი ცხოვრებისადმი მიძღნილი წიგნით ,,მოგონებების კრიალოსანი“, მართლაც კრიალოსანივით ჩამომარცვლა თქვენი კაცური ცხოვრების შთამბეჭდავი ეპიზოდები...

როგორც ომისა და შრომის ვეტერანს, როგორც გამორჩეულ პიროვნებას, არ დაგკლებიათ ხელისუფლებისაგან პატივი და აღიარება.

წლევანდელ 9 მაისს, 96-ე წელში გადამდგარი, რომ ვეღარ გიხილეთ გამარჯვების მემორიალთან, ცუდად გვენიშნა... თურმე ზეციურ ყოფასთან შესაერთებლად გამზადებდათ ზენაარი...

თბილად ჩაგიხუტათ ზარნის მშობლიურმა მიწამ. თქვენი ამქვეყნიური ცხოვრებით კი ჩვენს საზოგადოებას, საყვარელ ოჯახს, საახლობლოს, სამეგობროსა და ხარაგაულის მომავალ თაობებს კი მარადიული საგზალი დაუტოვეთ, საგზალი მოყვასის სიყვარულისა, ამქვეყნიური ვალის მოხდისა, კაცურკაცობისა!

ღვთიურმა ნათელმა გაკაშკაშოს თქვენი იმქვეყნიური ყოფა და მარადიული მშვიდობა დაუმკვიდროს თქვენს წმინდა სულს!

ამინ!

გაზეთ ,,ახალი ხარაგაულის“
სარედაქციო კოლეგია

იმერეთში თვითმმართველობებს შორის მინი ფეხბურთის ჩემპიონატი მიმდინარეობს

,,რწმუნებულის თასი“ მინი ფეხბურთში იმერეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობებს შორის გრძელდება. მორიგი თამაში ხარაგაულის სპორტდარბაზში გაიმართა და ერთმანეთს ხარაგაულისა და ვანის მუნიციპალიტეტის გუნდები დაუპირისპირდნენ.

მატჩი ხარაგაულის გუნდის გამარჯვებით 2:0 დასრულდა.

შეხვედრას ხარაგაულისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ.

ხარაგაულის თვითმმართველობის თანამშრომლებით დაკომპლექტებულმა გუნდმა პირველი თამაში ბაღდათთან 1:5 ნაგო, ხოლო ზესტაფონის თვითმმართველობის გუნდთან ფრე - 5:5 ითამაშა.

აღსანიშნავია, ,,რწმუნებულის თასი“ იმერეთის მხარის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით ხორციელდება და სპორტის პოპულარიზაციასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

მინი ფეხბურთის ფინალი 7 სექტემბერს გაიმართება.

ყურადღება, აუქციონი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონი ცხადდება.

კერძოდ: სოფელ კიცხში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა;

სოფელ საღანძილეში: რკინის მილები (286 გრძივი მეტრი);

სოფელ ნადაბურში- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა;

გარდა ამისა, ელექტრონული აუქციონი ცხადდება უძრავი ქონების ივჯარის ფორმით გაცემის მიზნით.

სოფელ ხევში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;

სოფელ თეთრაწყაროში -შენობა-ნაგებობა.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: eauction.ge; აუქციონი 30 აგვისტოს დასრულდება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი, საპატიო ხარაგაულელი

გიორგი (ჟორა) ბლუაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და სრულიად ხარაგაულის საზოგადოებას.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12